1969 / 3

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 8 (343)

1969 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№8 (343) აგვისტო 1969 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.
152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. ყამიერაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.
153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.
154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. კ. განგიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.
155. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის შევსების შესახებ.
156. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თერჯოლის რაიონში „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.
157. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. გორში, ახალქალაქისა და ამბროლაურის რაიონებში ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ
158. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების მოხსენებითი ბარათის შესახებ.

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. წულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ნ. იუშკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ბ. ნახაპეტოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. გ. ღვალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოციალისტური რუსთაველი“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. სობოლევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. ხანოიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

151 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 1 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

152 ამხ. ბ. ვ. ჟამიერაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ბივი ვლადიმერის ძე **ჟამიერაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 1 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოზენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 1 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 ამხ. ა. კ. განბიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **განგია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოზენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 1 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის შევსების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 13 მაისის ბრძანებულების „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 49-ე მუხლის შევსების შესახებ“ („სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1969 წ., № 21, მუხ. 186) შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და პრეისკურანტების მოთხოვნილებათა შესაბამისად“ შემდეგ დამატოს სიტყვები „ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს პროდუქციის მიწოდებას კომპლექტის დამატებითი ნაკეთობებით (ნაწილებით) ან მყიდველისათვის იმ ცალკეული არასაჭირო ნაკეთობების (ნაწილების) გარეშე, რომლებიც კომპლექტში შედიან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოზენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡᲮᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

156. ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ, ᲡᲐᲓᲐᲑᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ღიბრაძის მოხსენება „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, აღნიშნავს, რომ თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად. საგრძნობლად ამაღლდა საბჭოების ხელმძღვანელობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტის საქმეში. ისინი უფრო აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობაში მათი წარმოების ეფექტურობისა და რენტაბელობის ამაღლების მიზნით.

საბჭოების სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე სისტემატურად იხილება სოფლის მეურნეობის და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები. რაიონული საბჭოს აღმასკომი პერიოდულად ამოწმებს ქვემდგომი საბჭოების აღმასკომების მუშაობას, სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე ისმენს ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ. სასოფლო საბჭოები რეგულარულად იღებენ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობათა და საწარმოთა საგეგმო მაჩვენებლებს და ამოწმებენ მათ შესრულებას, მონაწილეობენ კოლმეურნეობათა და საწარმოთა წლიური და პერსპექტიული გეგმების განხილვაში. ზედა სიმონეთის, ეწრის, ძევრის და სხვა სასოფლო საბჭოებმა კოლმეურნეობათა და საწარმოთა პერსპექტიული და წლიური გეგმების განხილვის დროს მნიშვნელოვანი წინადადებანი შეიტანეს მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, სოფლების კეთილმოწყობის, ადგილობრივი გზების მშენებლობის, ადგილობრივი ნედლეულისა და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების თაობაზე.

სასოფლო საბჭოები ფართოდ იყენებენ საბიუჯეტო უფლებებს და ჭარბ შემოსავლებს წარმართავენ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა საზანოს, ბარდუბნის, ჭოგნარის, ძევრის, ალისუბნისა და ზოგიერთი სხვა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა. ისინი სათანადო კონტროლს უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კანონმდებლობის დაცვის, გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებათა დროულად შესრულების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლისა და მისი სწორად გამოყენების საქმეში, ამოწმებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკარმიდამო ფონდის სწორად გამოყენებისა და საკარმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამო ნაკვეთების ნორმების დაცვის საკითხს. გატარებულ ღონისძიებებთან შედარებულ-ად გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს 3,2 პროცენტით შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებსაც სავალდებულო მინიმუმი არა აქვთ გამომუშავებული.

რაიონში წარმატებით სრულდება პირუტყვის სულადობისა და სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მიმდინარე წლის 15 ივლისისათვის გადაჭარბებით შესრულდა ჩაის კრეფის წლიური გეგმა.

საბჭოები ორგანიზაციას უკეთებენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ხიდების მშენებლობასა და რემონტს. დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის სამუშაოებში ფართოდ აბამენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რეგულარულად ისმენენ განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა საწარმოთა ხელმძღვანელების მოხსენებებს მათი საწარმოო საქმიანობის შესახებ და იღებენ ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

გაუმჯობესდა აღმასკომების კადრებით დაკომპლექტების საქმე; 19 სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარიდან უმაღლესი განათლება აქვს 12-ს. განმტკიცდა საბჭოების მატერიალური ბაზა; 18 სასოფლო საბჭოდან 7 მოთავსებულია ახალ კაპიტალურ შენობაში. მშენებლობის პროცესშია 2 სასოფლო საბჭოს, ხოლო 1970-71 წლებში აშენდება კიდევ საბჭოს 2 შენობა.

გააქტიურდა მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების საქმიანობა. მიმდინარე წელს მუდმივმა კომისიებმა სესიებსა და აღმასკომის სხდომებისათვის მოამზადეს 170 საკითხი.

გასულ და მიმდინარე წელს ჩატარდა სოფლის 32 ყრილობა, რომელსაც 18 ათასამდე კაცი დაესწრო, ხოლო საკითხების განხილვაში მონაწილეობდა 210 კაცი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა მიღებისა და წინადადებების, განცხადებების და საჩივრების განხილვის საქმე.

ამასთან ერთად თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ კანონის შესრულების საქმეში გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი ვერ ახორციელებს კონტროლს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი. იშვიათად განიხილავს სოფლის მეურნეობის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა შრომის ორგანიზაცია, მიწათსარგებლობის კანონის დაცვა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაციონალურად გამოყენება და სხვა; გვერდს უვლის საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ფაქტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვახჭირის სასოფლო საბჭოს აღმასკომს 1968-1969 წლებში არ შეუსრულებია კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის მდგომარეობა; მაშინ, როდესაც 1968 წელს კოლმეურნეობის 344 შრომისუნარიანი წევრიდან საავადმყოფო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 120-ს ანუ 35,1 პროცენტს. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც.

თუზის კოლმეურნეობის გამგეობამ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის გვერდის აღლით, 1968 წელს ნათესთა წანახვედისათვის 100 კოლმეურნეს დააკისრა ზარალის ანაზღაურება 525 მანეთის ოდენობით, ხოლო მიმდინარე წელს 31 კოლმეურნეს — 334 მანეთის ოდენობით. საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა წარმოებს კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით და სხვ. საკოლმეურნეო დემოკრატიული პრინციპების დარღვევას ადგილი აქვს აგრეთვე ახალი თერჯოლის კოლმეურნეობაში.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი საკმაო ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კეთილმოწყობას. გასულ წელს 18 სასოფლო საბჭოს აღმასკომიდან 12 სასოფლო საბჭოს აღმასკომს არ შეუსრულებია საგზაო სამუშაოების გეგმა. მიმდინარე წლის გეგმა რაიონში შესრულებულია 32 პროცენტით, მათ შორის ღვანკითის სასოფლო საბჭოს აღმასკომს შესრულებული აქვს 3 პროცენტით, ხოლო ახალი თერჯოლის, ზედა სიმონეთის და რუფოთის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს შესაბამისად 9,7 და 14 პროცენტით.

სასოფლო და სადაბო საბჭოებს ნაკლოვანებები გააჩნიათ აგრეთვე ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში. მუდმივი კომისიები და დეპუტატები ყოველთვის არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას სესიებისათვის საკითხების მომზადებაში, მათი განხილვა ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ნაკლები ყურადღება ექცევა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს. გასულ წელს ღვანკითის სასოფლო საბჭოს მე-4 სესიაზე განხილულ იქნა მხოლოდ მუდმივი კომისიების ანგარიში. თუზის სასოფლო საბჭოს მეორე სესიაზე (1969 წლის აპრილი) მოსმენილ იქნა განათლების და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიების ანგარიში, მაშინ როდესაც ეს კომისიები მარტში შეიქმნა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მუდმივი კომისიების ნაწილი; ისინი იშვიათად იწვევენ სხდომებს და განხილულ საკითხებზე არ იღებენ დადგენილებებს. სუსტია სასოფლო საბჭოების დეპუტატების კავშირი ამომრჩევლებთან. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების განხილვასა და შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიიღონ საჭირო ზომები საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად. ღრმად ჩაუწვდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ვაჭრობის, საზოგადო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობას;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საწარმოთა პერსპექტიული და წლიური გეგმების განხილვაში; მეტი დახმარება აღმოუჩინონ მათ წარმოების განვითარებაში, საწარმოო-საფინანსო გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, მიწის, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში, შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და დისციპლინის განმტკიცებაში;

გ) განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების გასაფართოებლად. უზრუნველყონ სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო და სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება;

დ) მიიღონ ზომები დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანების და კეთილმოწყობისათვის, გზების, ხიდბოგირების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და წესრიგში მოყვანისათვის;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვას, შრომისადმი მუშების, კოლმეურნეების და მოსამსახურეების შეგნებულ დამოკიდებულებას;

ვ) მკვეთრად გააუმჯობესონ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა და იგი წარმართონ ისე, რომ ხელი შეუწყონ სამეურნეო და კულტურული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეს. მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების სესიები ტარდებოდეს მაღალ ორგანიზაციულ დონეზე. უზრუნველყონ სესიებისათვის საკითხების მომზადებასა და წინასწარ განხილვაში მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების აქტიური მონაწილეობა. საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი დროულად აცნობონ მოსახლეობას. გააუმჯობესონ კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი; მუშაობის გამოცდილების განზოგადების მიზნით პერიოდულად მოაწყონ დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აღმასკომების მუშაკთა თათბირ-სემინარები;

ზ) სოფლის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად პერიოდულად მოიწვიონ სოფლის ყრილობები (მოქალაქეთა კრებები), განახორციელონ ღონისძიებანი მათ მიერ მიღებულ დადგენილებათა შესასრულებლად და შედეგები აცნობონ მოსახლეობას.

2. თერჯოლის რაიონული საბჭოს აღმასკომმა აღნიშნული დადგენილების შესრულების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1970 წლის 1 იანვრისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ რაიონული, ტყიბულისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ კანონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულების მიმდინარეობა და მიიღონ სათანადო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 ქ. გორში, ახალქალაქისა და ამბროლაურის რაიონებში ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო, ახალქალაქისა და ამბროლაურის რაიონების საბჭოების აღმასკომების უმრავლესობამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესასრულებლად.

გორის საქალაქო, ახალქალაქის რაიონის არაკვის სასოფლო, ამბროლაურის საქალაქო, ჭრებალოს და ხვანჭკარის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა დროულად განიხილეს ამომრჩეველთა განაწესები და წინადადებები და დასახეს ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად. მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წელს შეამოწმა წარმოება-დაწესებულებებში და ორგანიზაციებში განაწესების და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და შესრულების მიმდინარეობის საკითხი და მიიღო ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის ჭარბი შემოსავლებიდან გამოყო 69,1 ათასი მანეთი.

ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების საკითხი სესიაზე განიხილა ახალქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომმაც.

ზემოაღნიშნულ რაიონებში დეპუტატების თაოსნობითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით ბევრი რამ არის გაკეთებული ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის. ნიკორწმინდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ აღრიცხული 25 წინადადებიდან შესრულებულია 15, ხოლო ახალქალაქის რაიონის არაკვის სასოფლო საბჭოს დეპუტატების მიერ დაყენებული 18 წინადადებიდან — 11 წინადადება.

ამასთან ერთად მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო, ახალქალაქის და ამბროლაურის რაიონების საბჭოების აღმასკომებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების საქმეში გააჩნიათ ნაკლოვანებანი. ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი არ ამოწმებს ან სუსტად აკონტროლებს განაწესების და წინადადებების შესრულებას, არ უყენებს სათანადო მოთხოვნებს იმ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებას. (ახალქალაქის საქალაქო და ბარალეთის სასოფლო, ამბროლაურის რაიონის, საქალაქო და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომები).

ამის შედეგია, რომ რიგი წარმოება-დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ყურადღებით არ ეკიდება დეპუტატების მიერ დაყენებული წინადადებების განხილვის საკითხს, არ უგზავნის პასუხს დეპუტატებს, ხოლო ზოგჯერ პასუხი დაუსაბუთებელია.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას უთმობს თვით დეპუტატების როლის ამაღლებას განაწესების განხორციელების საქმეში. ამიტომაა, რომ დეპუტატების ნაწილი არ იჩენს საჭირო ინიციატივას ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების შესასრულებლად; ამომრჩევლებმა ყოველთვის არ იციან, თუ რა ზომებია მიღებული მათი წინადადებების განსახორციელებლად; ამ მიზნისათვის საბჭოები სუსტად იყენებენ პრესასა და რადიოს.

მშრომელთა დეპუტატების ახალქალაქისა და ამბროლაურის რაიონების საბჭოების მუდმივი კომისიების ნაწილი საკმაო დახმარებას არ უწევს დეპუტატებს ამომრჩეველთა განაწესებინ და წინადადებების განხორციელებაში.

ახალქალაქის და ამბროლაურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად არ მიუღიათ წესი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების და მუდმივი კომისიების წინადადებების განხილვის თაობაზე, რის გამოც ამ რაიონებში 'არ არის დაცული მოთხოვნა დეპუტატების წინადადებების აღრიცხვის, განხილვის და შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო, ახალქალაქის და ამბროლაურის რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ საჭირო ზომები ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვის და შესრულების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც:

ა) გაუმჯობესონ ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესასრულებლად, მეტი ინიციატივა გამოიჩინონ განაწესების და წინადადებების შესრულებისათვის დამატებითი რესურსების და შესაძლებლობების გამოსავლენად;

ბ) მეტი მოთხოვნა წაუყენონ წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების შესრულების საქმეში; არ დაუშვან ფორმალობა დეპუტატთა მიერ დაყენებული საკითხების შესწავლასა და მათთვის პასუხის გაცემაში;

გ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა მუდმივმა კომისიებმა და დეპუტატებმა უფრო აქტიურად იმუშაონ ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების განსახორციელებლად; ამასთან, მოსახლეობას რეგულარულად ეცნობოს განაწესებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ქვემდგომ საბჭოებში ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობა. მოთხოვონ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებს აწარმოონ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების წინადადებების, აგრეთვე სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვა და უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებების გატარება მათ შესასრულებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეამოწმონ ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის საკითხი, განიხილონ იგი სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე და დასახონ ღონისძიებანი ამ საქმის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების მოხსენებითი ბარათის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღების მოხსენებითი ბარათი „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1969 წლის პირველ ნახევარში შემოსული მშრომელთა წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 **ამხ. შ. ი. წულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკის ენერგეტიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქენერგოს“ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. შალვა იოსების ძე **წულაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 1 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

160 **ამხ. ნ. ნ. იუშკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **იუშკოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 1 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 **ამხ. ვ. ბ. ნახაპეტოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებია მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ამხ. მამიკონ ბახჩოს ძე **ნახაპეტოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 ამხ. პ. გ. ღვალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი ამხ. პროკოფი გიორგის ძე ღვალაძე დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაბაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობისათვის კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაჭრის საქმეში, დაარსების 25-წლისთავთან და მე-5000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი „სოციალისტური რუსთავი“ — საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანო დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაბაძე.

თბილისი, 1969 წლის 21 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 ამხ. ვ. ა. სოგოლევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოგოლევი დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაბაძე.

თბილისი, 1969 წლის 21 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 ამხ. გ. ვ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გორის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ქირურგი ამხ. გიორგი ვასილის ძე **გელდიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 21 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 ამხ. ნ. მ. ხანოიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიის წინაშე დამსახურებისა და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით პარტიის წევრი 1905 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. ნინო მოსეს ასული **ხანოიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 27 აგვისტო.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. დ. ბერიძის მოხსენება საქართველოს სსრ საზღვაო სანაოსნოს ნავსადგურებში მგზავრთა მომსახურების მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ბათუმის, ფოთის, სოხუმისა და გაგრის ვაგზლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის.

სანაოსნოს სამგზავრო გემები და ადგილობრივი მიმოსვლის ჩქარმავალი კატარღები აღჭურვილია ახალი ტექნიკით.

კარგადაა მოწყობილი ბათუმის ვაგზლის მგზავრთა მომსახურება, მოსაცდელი დარბაზი, დედათა და ბავშვთა დასვენების ოთახები, საბარგო განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბილეთო სალაროები, ავტომატური ბარგშესანახები, საფოსტო განყოფილება, ცნობათა ბიურო, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა ობიექტები.

სანაოსნოს ყველა ვაგზალი დაკომპლექტებულია კვალიფიციური მუშაკებით.

ამასთან აღინიშნა, რომ მგზავრთა მომსახურების საქმეში **საზღვაო სანაოსნოს** ნავსადგურებში არის მთელი რიგი ნაკლოვანებები. არ სრულდება **სოხუმის** ვაგზლის მშენებლობის გეგმა.

სოხუმის და ფოთის ვაგზლებში მოწყობილი არ არის დედათა და ბავშვთა და ტრანზიტულ მგზავრთა დასასვენებელი ოთახები, აგრეთვე სხვა საჭირო სათავსოები და ნაგებობანი. ფოთის ვაგზალში ერთადერთი საბილეთო სალაროა, რომელიც დროულად ვერ უზრუნველყოფს ბილეთებით მგზავრებს.

ჭიათურდება ბაგრის ვაგზლის კაპიტალური შეკეთება. მოუწყობელია ნავმისადგომი. დაუმთავრებელია დღის განათების ქსელის მონტაჟი, განახლებული არ არის მიმოსვლის განრიგი და საცნობარო დფები. ვაგზალს არ გააჩნია მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, მოუწყობელია ბილეთების სალარო.

ნავსადგურებს საჭირო რაოდენობით არა ყავთ კატარღები, რის გამო ბაგრა-ბიჭვინთის, ბაგრა-სოჭისა და ბაგრა-სოხუმის სანაოსნო ბაზები გადატვირთულია მგზავრებით.

სამგზავრო გემების ჩამოდგომის დროისათვის ცუდათაა ორგანიზებული ტაქსებით მომსახურება.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ი. ქარუმიძემ, ვ. ნანეიშვილმა, გ. კობალაძემ, ა. კაჭარავამ და სხვებმა.

* *
*

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის ამხ. გ. აფხაძის მოხსენება ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვისა და შეკეთების მდგომარეობის შესახებ თბილისში და მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. ჟვანიას მოხსენება ქუთაისის, ტყიბულის და ზესტაფონის სამრეწველო საწარმოების მონაწილეობის შესახებ საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობასა და მოწყობაში.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში თბილისში საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის მომსახურება ტანსაცმლის შეკერვისა და შეკეთების საქმეში. მთლიანი პროდუქციის გამოშვების 1968 წლის გეგმა შესრულებულია 101,5 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე წლის 6 თვის გეგმაც.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე მთელი რიგი ნაკლოვანებანი. არის შემთხვევები შეკეთების დაგვიანებით და უხარისხოდ შესრულებისა, არის გაუფორმებლად შეკეთების მიღების ფაქტები. ზოგ ატელიეში არ არის შექმნილი მომსახურებისათვის ნორმალური პირობები, მოსაცდელები სათანადოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის მოწყობილი, სახელოსნოების ნაწილი ჯერ კიდევ შეუფერებელ შენობებში მუშაობს, ამასთან მუშაობს მხოლოდ 2-3 ხელოსანი.

ნაკლოვანებებია სამკერვალო სახელოსნოების საჭირო ფურნიტურით და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის საქმეში. ზოგიერთ ატელიეში და კომბინატში სათანადო სიმაღლეზე არ დგას აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგად ადგილი აქვს კადრების დენადობას. მთელ რიგ ატელიების, კომბინატების და სახელოსნოების ხელმძღვანელებად მუშაობენ არასპეციალისტები.

მეორე საკითხის განხილვისას — ქუთაისის, ტყიბულის და ზესტაფონის სამრეწველო საწარმოების მონაწილეობა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობასა და მოწყობაში, აღინიშნა, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების აშენების და მოწყობის საქმეში აღნიშნული ქალაქების სამრეწველო საწარმოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს.

ამასთან ერთად, კომისიამ აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობისა და მოწყობის საქმეში ზესტაფონის, ქუთაისისა და ტყიბულის სამრეწველო საწარმოებს სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ.

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა არადამაკმაყოფილებლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობისა და მოწყობის საქმეში.

პავილიონების მშენებლობა ვერ უზრუნველყვეს ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ, პურკომბინატმა და მექანიკურმა ქარხანამ. არ შეასრულეს ვალდებულებანი თავიანთ ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის. აბანოს და ორი პავილიონის მოწყობის შესახებ ლითოფონის, მინის ტარის და საკონსერვო ქარხნებმა, აბრეშუმის, ტყავფეხსაცმლის, საშენ მასალათა კომბინატებმა და № 4 სამკერვალო ფაბრიკამ.

ზესტაფონის სამრეწველო საწარმოები სათანადო მონაწილეობას არ იღებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობასა და მოწყობაში.

ქუთაისის, ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ზესტაფონის რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სამრეწველო საწარმოების მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და მოწყობის საქმეში.

საკითხების განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები რ. კვინტრაძე, თ. გვარჯალაძე, ვ. სანიკიძე, ვ. ქერქაძე, დ. საბაშვილი, შ. ჯოგლიძე, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე ა. მიქაუტაძე, თბილისის № 1 ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკის დირექტორი ა. სხვიტარიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილე გ. ქველიძე, „საქნახშირის“ კომბინატის დირექტორის მოადგილე ფ. გაჩეჩილაძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. აფაქიძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **სოფლის მეურნეობის** საუდგივი კომისიის სხდომა, რომელშაც მოისმინა კომისიის მდივნის, დეპუტატ ო. აბესაძის მოხსენება წითელწყაროს, მცხეთის, გორის, თიანეთისა და ბოგდანოვკის რაიონების მეურნეობებში თესლბრუნვების შემოღებისა და ათვისების შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1967—1968 წლებში სერიოზული მუშაობა გასწია დასახელებულ რაიონებში სწორი თესლბრუნვების შემოღებისა და ათვისების მიზნით. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტებით სწორად გადაწყდა მეურნეობათა პერსპექტიული განვითარებისა და სპეციალიზაციის საკითხი. წითელწყაროს რაიონში პირველ პლანზეა წამოყენებული მარცვლეულის წარმოების ზრდა და მეცხოველეობის განვითარება. გორისა და მცხეთის რაიონებში — სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის განვითარება, თიანეთისა და ბოგდანოვკის რაიონებში კი — პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარება.

თესლბრუნვების დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა, გაუმჯობესდა ნიადაგების დამუშავება და წვნიანი და უხეში საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფა.

ამასთან აღინიშნა, რომ ამ რაიონებს აქვთ ნაკლოვანებანი თესლბრუნვის ათვისებაში.

მრავალწლიანი ბალახების თესლის ნაკლებობის შედეგად ეს კულტურები არ დაითესა თიანეთის რაიონის სოფლების თუშურების, ყებოტას, გორანას, ზარიძეების, გორის რაიონის ზერტის, ატენის, ბოგდანოვკის რაიონის ფოკას კოლმეურნეობებში.

ბოგდანოვკის რაიონის განძანის ხორცისა და რძის საბჭოთა მეურნეობამ ვერ ითვისა სათბები, საძოვრები და ანეულები, რის შედეგადაც დაირღვა თესლბრუნვა. ამასთან, ამ საბჭოთა მეურნეობის 54 ჰექტარ მიწას სოფელ პატარა არაქალის კოლმეურნეობა იყენებს შესაბამისი ორგანოების დადგენილების გამოუტანლად.

მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის კოლმეურნეობაში სადრენაჟო და სარწყავი ქსელების მოუწესრიგებლობის გამო ირღვევა თესლბრუნვა. იმის გამო, რომ არა აქვთ სამთო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა თიანეთის, ბოგდანოვკის რაიონისა და ნაწილობრივ გორის რაიონის მეურნეობებში, ფერხდება ახალი მიწების ათვისება და არსებული სახნავების ნორმალური დამუშავება.

კამათში გამოვიდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები ი. კავლაძე, შ. ღამბარაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. კეზუაშვილი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ზ. ბიძინაშვილი, „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. სეხნიაშვილი, გორის, წითელწყაროს, თიანეთის, მცხეთის რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები ა. ქუჩუკაშვილი, შ. შეთინაშვილი, გ. დავითაშვილი, ა. რაზმაძე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამმართველოს უფროსი გ. გიგიაშვილი და სხვები.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა შ. გრძელიშვილმა.

* *
*

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **საგეგმო-საბიუჯეტო** კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის ამხ. ვ. პაატაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების 1969 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შესახებ, კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციებმა გადაჭარბებით შეასრულეს წყლისა და ელექტროენერგიის რეალიზაციის, სასტუმროების ფონდის გამოყენების, მეტროპოლიტენითა და ტრამვაით მგზავრთა გადაყვანის, სარემონტო-სამშენებლო, საპროექტო სამუშაოების, საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის 1969 წლის პირველი ნახევრის გეგმები, შემცირებულია მგზავრთა გადაყვანის, კომუნალური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაობის თვითღირებულება, გადაჭარბებით არის შესრულებული მოგებისა და სამრეწველო საწარმოებში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, აგრეთვე საცხოვრებელი ფართობის საექსპლატაციოდ გადაცემის გეგმები.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ კომუნალური მეურნეობის რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებს აქვთ ნაკლოვანებანი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში. მაგალითად: თბილისის ტროლეიბუსების მეურნეობებმა ვერ შეასრულეს მგზავრთა გადაყვანის ნახევარი წლის გეგმა. სამინისტროს სისტემის 49 სასტუმროდან ფონდის გამოყენების გეგმა ვერ შეასრულა 21 სასტუმრომ.

აფხაზეთის და აჭარის სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ და ქალაქების ქუთაისის, გორის, ჭიათურის, ახალციხის, თელავის, მცხეთისა და სხვა საბინაო მეურნეობებმა ვერ შეასრულეს საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის 6 თვის გეგმა.

„საქკომუნრემმშენის“ ტრესტმა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის გეგმა შეასრულა მხოლოდ 95,9 პროცენტით, ხოლო სპეციალიზებულმა სამმართველომ „საქელექტრომშენმონტაჟი“ — 98,2 პროცენტით. სამინისტროსათვის დამტკიცებული კაპიტალური დაბანდების 6 თვის გეგმა — 97 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებების 6 თვის გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 და № 7 ტრესტები, რომლებმაც საბინაო და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობის 6 თვის გეგმა შეასრულეს შესაბამისად 47,4 და 40,7 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო კაპიტალურიანებლობის 6 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 62,1 პროცენტით. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 75,7 პროცენტით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 82,7 პროცენტით.

საკითხის განხილვის გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები ლ. ისაკაძე, ი. გეგენავა, უ. კაზარიანი, ი. ბოგდანოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მიქელაძე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ს. ზალდასტანიშვილი, მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველი ვ. ჭურაძე და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. გელაშვილმა.

კომისიებმა განხილული საკითხების გამო მიიღეს სათანადო დადგენილებანი.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 27 აგვისტოს ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 377 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		17
ბოგდანოვკის	რაიონიდან	20
ბოლნისის	„	52
ბორჯომის	„	12
გარდაბნის	„	89
გორის	„	8
გურჯაანის	„	1
დუშეთის	„	5
ვანის	„	13
ზესტაფონის	„	10
ზუგდიდის	„	15
კასპის	„	17
ლაგოდეხის	„	20
მაიაკოვსკის	„	7
მესტიის	„	14
საგარეჯოს	„	28
სამტრედიის	„	6
საჩხერის	„	18
ქარელის	„	15
ყაზბეგის	„	8
ცხაკაიას	„	2